

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.07.2022

იმპორტის ფასების ინდექსი საქართველოში

2022 წლის ივნისი

იმპორტის ფასების ინდექსი **წინა თვესთან** შედარებით შემცირდა 0.2 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით სახეზე გვაქვს ინდექსის 6.3 პროცენტის ზრდა.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ფასები 9.6 პროცენტით შემცირდა სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის ჯგუფზე. დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე ფასების 9.1 პროცენტის მატება ფიქსირდება, ხოლო ელექტროენერჯის, აირის, ორთქლისა და კონდიციონირებული ჰაერის ჯგუფზე - ფასების 79.1 პროცენტის კლება. რაც შეეხება წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით მომსახურების ჯგუფს, სახეზე გვაქვს ფასების 31.9 პროცენტის ზრდა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2022 წლის ივნისში იმპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:


კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2021 წლის ივნისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	106.3	6.28
B	სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია	90.4	-1.13
C	დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია	109.1	7.94
19	კოქსი და რაფინირებული ნავთობპროდუქტები	176.5	5.29
28	მანქანები და მოწყობილობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	86.2	-1.07
D	ელექტროენერჯია, აირი, ორთქლი და კონდიციონირებული ჰაერი	20.9	-0.57
E	წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით	131.9	0.05

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.07.2022

იპორტის ფასების ინდექსი (წინა წლის შესაბამისი თვე = 100)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge